ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№58

ქ. თბილისი; 28 თებერვალი, 2020 წ. 13 : 00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ქეთევან მამულაშვილი
ნინო რუხაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი - ნუცა ცქიტიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი - გიგა გიგაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ვასილ აბულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი - გიორგი ებანოიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი - მარიამ კვერნაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. ”არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები.

5. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე შპს „სითი ბოქსი“, ს/კ 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/კ 439402843) გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. "ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში არსებული 210 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.44.142) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.041.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N 110-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი N05/040, საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040.01.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისში, ფაღავას ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N 01.17.01.012.006.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.079.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ჩიხი N5-ის კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.056.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისში, ანჩისხატის ეკლესიის მიმდებარედ არსებული 58 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.03.015.015) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N49-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.001.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის N402 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში (ყოფილი თემქა) მე-11 მიკრო/რაიონის I კვარტალის N20ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.014.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისში, ემირ ბურჯანაძის N49-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.021.028) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. „ქალაქ თბილისში, შავთელის ქუჩა N26-ის მიმდებარედ 50 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.03.016.047) პირდაპირი განკარგვის წესით საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრისთვის (ს/ნ: 204390159) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.14.031.055) პირდაპირი განკარგვის წესით ლალი ჟღენტისთვის (პ/ნ:01025004391) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 ივლისის N206 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.14.031.055) პირდაპირი განკარგვის წესით ლალი ჟღენტისთვის (პ/ნ:01025004391) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. „ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N30-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: 01.10.17.023.001.00.01.032) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო

(არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის“ (ს/კ: 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53–22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - **ნუცა ცქიტიშვილმა**, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ”** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის **№52-10** დადგენილების **პირველ მუხლს ემატება „თ“ ქვეპუნქტი,** რომლითაც განისაზღვრება **გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი.** მისივე თქმით, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის მოსარგებლეებად განისაზღვრებიან გაფანტული სკლეროზის დიაგნოზის მქონე 15-დან 60 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არიან: დიაგნოსტირებულნი მაკდონალდის სადიაგნოზო კრიტერიუმების თანახმად, სადაც კურცკეს უნარშეზღუდულობის სკალით შეფასებული მდგომარეობა არის 0-დან 6 ქულის ჩათვლით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი, მათ შორის, ისეთი პირები, რომლებსაც ამ 3 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში, ხოლო იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ქვეპროგრამით მოსარგებლეებს დაუფინანსდებათ შემდეგი სამკურნალო მედიკამენტები: „ოკრელიზუმაბი“ და „ფინგოლიმოდი“. მედიკამენტების დაფინანსება მოხდება შესაბამისი სქემის მიხედვით. სოციალურად დაუცველ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი დაუფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს მედიკამენტი დაუფინანსდება მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით.

ნუცა ცქიტიშვილმა იქვე დასძინა, რომ გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში, ასევე გათვალისწინებული იქნება ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის კრიტერიუმები, რომლის თანახმადაც მიმწოდებელი ვალდებულია ჰქონდეს ფარმაცევტულ ბაზარზე მუშაობის სულ მცირე 5-წლიანი გამოცდილება, მინიმუმ 5 ფილიალი ქალაქ თბილისში, უზრუნველყოს მედიკამენტების „ოკრელიზუმაბის“ - არაუმეტეს 6000 ლარისა

და „ფინგოლიმოდის“ - არაუმეტეს 1846 ლარის ტარიფით მიწოდება და მედიკამენტის მარაგის უზრუნველყოფა, სულ მცირე სააფთიაქო ქსელის 5 ფილიალში.

როგორც **მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა** განმარტა, ცვლილება შედის ასევე №52-10 დადგენილების პირველი მუხლის „გ“ პუნქტით დამტკიცებულ **„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის განხორციელების წესის“ მე-9 მუხლის პირველ პუნქტში** და მიმწოდებლისთვის დადგენილ კრიტერიუმებს ემატება კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც მიმწოდებელს უნდა ჰქონდეს, 1 წლის განმავლობაში, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე, სულ მცირე, 20 ბავშვისათვის მომსახურება მიწოდებული უწყვეტად.

ნუცა ცქიტიშვილის თქმით, ზემოაღნიშნული წესის **მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში განხორციელებული ცვლილების მიხედვით,** მიმწოდებელი ვალდებული ხდება ქვეპროგრამის განმახორციელებელს აცნობოს მულტიდისციპლინური გუნდიდან ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემადგენლობის ცვლილების თაობაზე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.** გარდა ამისა, სასურველია პროექტის **პირველი მუხლის პრეამბულა** ტექნიკურად გაიმართოს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

თავმჯდომარემ, დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში, მითითება იმის თაობაზე, რომ დადგენილებას ემატება დანართი N8 მიზანშეუწონლად მიიჩნია, რამდენადაც აღნიშნულს თავისთავად გულისხმობს დადგენილების პროექტის **პირველი მუხლისთვის „თ“ ქვეპუნქტის დამატება.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. **ნუცა ცქიტიშვილმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე- 2 საკითხი და კომისიის წევრებს განუმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მთავრობისათვის, თანხმობის მიცემას ა(ა)იპ **„სოციალური მზრუნველობის სააგენტოს“** დაფუძნების თაობაზე.

ქალბატონი ნუცას თქმით, საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს მიღებულ იქნა **„ბავშვის უფლებათა კოდექსი“**, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან **2020 წლის 1 მარტამდე**, მოახდინონ ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურების განსაზღვრა. ამასთან, ნუცა ცქიტიშვილის თქმით, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა **„სოციალური მუშაობის შესახებ“** საქართველოს კანონი, რომელიც ადგენს მუნიციპალიტეტის დელეგირებულ უფლებამოსილებებს სოციალური მუშაობის სფეროში.

როგორც **მომხსენებელმა** განმარტა, ზემოხსენებულიდან გამომდინარე, 2020 წლის 2 მარტიდან ფუძნდება ა(ა)იპ **„სოციალური მზრუნველობის სააგენტო“** რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება, ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, განხორციელების პროცესის მონიტორინგი, სოციალური მუშაკების ქსელის შექმნა, შესაბამის დაწესებულებებთან კოორდინირებული მუშაობა და სხვა. ამასთან, სააგენტოს ძირითადი ფუნქციები, **„სოციალური მუშაობის შესახებ“** საქართველოს კანონიდან გამომდინარე იქნება, თბილისის ტერიტორიაზე სოციალური მუშაობის ჩატარება, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე შესაბამის რეაგირება და ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სოციალური მუშაობის ჩატარება.

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტის თქმით, სააგენტოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი იქნება დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე დანიშნავს და გაათავისუფლებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა. ამასთან, სააგენტოში შეიქმნება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის:

- ადმინისტრაციული სამსახური;
- სოციალური და მულტიფუნქციური დახმარების სამსახური;
- მონიტორინგისა და ანალიტიკის სამსახური.

დასასრულს **საკითხის წარმომდგენმა** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს“ გამართული ფუნქციონირებისათვის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია დაახლოებით **2 200 000 (ორი მილიონ ორასი ათასი) ლარი.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართული რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გიგა გიგაშვილმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, **2020 წლის 1 მაისიდან,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების წესის ან/და რეალიზაციის წესის დარღვევა, **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება.** ამასთან, ბატონი გიგას თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაევალა **2020 წლის 1 მარტამდე** მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების **წესი ან/და რეალიზაციის წესის დადგენა.**

დასამტკიცებელი წესის მიხედვით:

- ✓ მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსება ან/და რეალიზაცია აიკრძალება გარკვეულ ფუნქციურ ზონებში და შეზღუდვით ზონებში, ფენებში და კონტურებში.

- ✓ ამტვერებადი მასალის განთავსება ან/და რეალიზაცია დასაშვები იქნება მხოლოდ შენობა – ნაგებობაში, რომელიც ქმნის გადახურულ სივრცეს, შემოსაზღვრულია კედლებით, კოლონებით ან/და სხვა შემომზღუდავი კონსტრუქციებით და გრუნტი დაფარულია ისეთი მყარი მასალით, რომელიც გამორიცხავს ამტვერებადი მასალის ნიადაგში მოხვედრას.

- ✓ ადვილად აალებადი და ფეთქებადი ნივთიერებების განთავსება ან/და რეალიზაცია დასაშვები იქნება მხოლოდ იმ შენობაში ან ნაგებობაში, რომელიც დააკმაყოფილებს

„ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებით განსაზღვრულ დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფისთვის დადგენილ პირობებსა და მოთხოვნებს.

- ✓ მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონის ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებების და მათი ნაწილების განთავსება ან/და რეალიზაცია დასაშვებია იმ შენობაში ან ნაგებობაში ან იმ ტერიტორიაზე რომელიც შემოსაზღვრულია კედლებით, კოლონებით ან/და სხვა შემომზღუდავი კონსტრუქციებით და სადაც გრუნტი დაფარულია ისეთი მყარი მასალით, რომელიც გამორიცხავს აღნიშნული მასალის ან მისგან გამოჟონილი ნივთიერების ნიადაგში მოხვედრას (ასევე შესაძლებელია იყოს გადახურული სივრცეც).

დასასრულს, **ბატონმა გიგამ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წესით გათვალისწინებული შეზღუდვები ამოქმედდება 2021 წლის 1 იანვრიდან.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, უმჯობესია, **წესის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში** ფუნქციური ზონების ჩამონათვალში ნაცვლად ზონისა მიეთითოს საცხოვრებელი და სარეკრეაციო **ზონები.**

კომისიის თავმჯდომარემ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მისცა რეკომენდაცია, წესით გავრცელებული შეზღუდვის, აგრეთვე სპეციალურ ზონა 1-ზე გავრცელების თაობაზე მსჯელობის გამართვის შესახებ. თავმჯდომარემ ასევე გასცა რეკომენდაცია, შემდგომში აღნიშნულ წესით გათვალისწინებულ თითოეულ ზონასთან მიმართებით საგამონაკლისო წესის გავრცელებაზე სახელმწიფო და მუნიციპალურ ობიექტებთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა-**გიორგი ებანოიძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში **2020 წლის 25 და 27 თებერვალს**წარმოდგენილი,

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილებების პროექტები.

მომხსენებლის განმარტებით, მ/წლის 25 თებერვალს წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტურ ნაწილში ცვლილებას, კერძოდ, 73-ე მუხლის მე-3 პუნქტს ემატება „ი“ ქვეპუნქტი, რითაც სარევიზიო ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების ჩამონათვალში აისახება განაშენების რეგულირების გეგმა, შემდეგი სახით:

„ი) ქალაქ თბილისში, „დელისი-3-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ , ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით ნაკვN1/127, ნაკვN1/124, ნაკვ N1/128, ნაკვ N1/126, ნაკვN1/125, დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმა (რევიზიის მიზნად განისაზღვროს ტერიტორიის რელიეფის თავისებურებების, ბუნებრივი ლანდშაფტისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, განაშენიანების რეგულირების გეგმით შემოთავაზებული სივრცით გეგმარებითი გადაწყვეტების, მოცულობების, ობიექტის სიმაღლეების შესაბამისობაში მოყვანა არსებულ ლანდშაფტთან და ქალაქის სილუეტთან, ამასთან მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილ ფუნქციურ ზონასთან.“

საკითხის წარმომდგენის თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს განაშენიანების კონტურის გარეთ და გათვალისწინებულია საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). იმის გათვალისწინებით, რომ ტერიტორია არ არის უზრუნველყოფილი როგორც სოციალური, ასევე საინჟინრო ინფრასტრუქტურით, სივრცით გეგმარებითი გადაწყვეტა, მოცულობები, ობიექტის სიმაღლეები არათავსებადია არსებულ ლანდშაფტთან და ქალაქის სილუეტთან, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამატება სარევიზიო დოკუმენტაციის ნუსხაში, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების ტერიტორიების ქალაქის განვითარების პრინციპებისა და პრიორიტეტების შესაბამისად განვითარების მიზნით.

გიორგი ებანოიძის თქმით, 27 თებერვალს წარმოდგენილი პროექტის ითვალისწინებს, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილში ცვლილების განხორციელებას, კერძოდ, 72-ე მუხლს მე-3 პუნქტში ემატება შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი.

,,ო) სახელმწიფო და მუნიციპალური ობიექტების განთავსების/ მშენებლობის მიზნით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა.“

მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ აგრეთვე ხდება აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება:

„ბ) სარეკრეაციო/ სასოფლო ზონებში (რომლებიც არ მიეკუთვნება A არეალს) სამშენებლოდ განვითარება შეზღუდულია შესაბამისი გარემოსდაცვითი და ურბანული განვითარების კვლევების დასრულებამდე, აღნიშნულ ტერიტორიაზე კვლევების დასრულებამდე ფუნქციური ზონის ცვლილება დასაშვებია სასწავლო, კულტურული, სამედიცინო, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო დაწესებულებების განთავსების მიზნით. ხოლო, სხვა დანარჩენ ზონებში სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია შესაბამისი ფუნქციური ზონების გათვალისწინებით."

დასასრულს, გიორგი ებანოიძემ განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილებით, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე სარეკრეაციო/ სასოფლო ზონებში (რომლებიც არ მიეკუთვნება A არეალს) კვლევების დასრულებამდე ფუნქციური ზონის ცვლილება დასაშვები გახდება სასწავლო, კულტურული, სამედიცინო, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო დაწესებულებების განთავსების მიზნით.

აზრი გამოთქვა:

თავმჯდომარის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, ნაცვლად „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის ზოგადი მითითების ნაცვლად, სამართლებრივი დასაბუთებების ნაწილში აღნიშნულ იქნას ხსენებული მუხლის მე-4 პუნქტი.

ამასთან, კომისიის თავმჯდომარე, 27 თებერვალს წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილი"-ს 72-ე მუხლის მე-3 პუნქტში შემდეგი შინაარსის „ო" ქვეპუნქტის - ,,ო) სახელმწიფო და მუნიციპალური ობიექტების განთავსების/ მშენებლობის მიზნით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა" დამატების საჭიროების/მიზანშეწონილობის საკითხზე მსჯელობისას მიუთითებს, რომ ვინაიდან, დადგენილების ამჟამად მოქმედი რედაქციის შესაბამისად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილი"-ს 72-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტი ადგენს, შემდეგს: განსაზღვრულ არეალებზე დროებითი შეზღუდვის პერიოდში, დასაშვებია, სახელმწიფო და მუნიციპალური მომსახურების გამწევი ობიექტების განთავსების/მშენებლობის მიზნით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა, მიზანშეწონილია, ცვლილება განხორციელდეს „ნ" ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

ასევე, ლევან ჟორჟოლიანის მოსაზრებით, ვინაიდან, წარმოდგენილი, ორივე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პროექტი ითვალისწინებს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას, მიზანშეწონილია, გაერთიანებულ იქნას დადგენილების ერთი პროექტის სახით და აღნიშნულზე იმსჯელოს ქალაქ თბილისის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე.

საკითხის წარმომდგენი დაეთანხმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ მითითებულ მოსაზრებებს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილებების პროექტებს და მითითებული შენიშვნების/წინადადებების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. **გიორგი ებანოიძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის, **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №14-39 დადგენილებაში და** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების და განაშენიანების რეგულირების წესებში იცვლება მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, კერძოდ ტერმინი - „არასრული სართული“, რომლის მიხედვითაც არასრული სართული არის სართული, რომლის საშუალო სიმაღლე იატაკის მზიდი კონსტრუქციის (მათ შორის, სართულშუა გადახურვის) ზედა ნიშნულიდან ჭერის მზიდი კონსტრუქციის (მათ შორის, სართულშუა გადახურვის) ქვედა ნიშნულამდე 1.8 მეტრიდან 2.3 მეტრამდეა. ასევე, წესებს ემატება ტერმინების „მიწისპირა სართულის“, „მიწისზედა სართულის“ და „მიწისქვეშა სართულის“ განმარტებები.

ბატონი გიორგის თქმით, აღნიშნული დადგენილების მე-9 მუხლს ემატება 6[1] პუნქტი, რომელიც გულისხმობს, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების/განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებისას, თუკი მიწის ნაკვეთები გამიჯნულია, წარმოსადგენია იმ მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების / თანამესაკუთრეების თანხმობა, რომელზეც უშუალოდ ხორციელდება ცვლილება, ხოლო განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების არეალში შემავალი სხვა საკადასტროების მიმართ ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად.

საკითხის წარმომდგენის თქმით, განსახორციელებელი ცვლილებით დაზუსტდება კონკრეტულ ზონებში დასაშვები სამშენებლო სამუშაოების თაობაზე ინფორმაცია.

როგორც მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა განმარტა, წესების 21-ე მუხლს ემატება მე-7 პუნქტი, რომელიც გულისხმობს, რომ ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში ფუნქციური ზონით დადგენილი განაშენიანების და გამწვანების პარამეტრები არ გაითვალისწინება, თუ შენობა-ნაგებობას ჰქონდა ან ფაქტობრივად აქვს აღნიშნული პარამეტრები დარღვეული. 30-ე მუხლს ემატება მე-20 ნაწილი, რაც გულისხმობს, რომ ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში შენობა-ნაგებობის განთავსება საკადასტრო საზღვრების დარღვევით დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ხორციელდება სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე გადასვლით, მესაკუთრის თანხმობით. ხოლო 31-ე მუხლს ემატება მე-61 პუნქტი, კერძოდ, კი, მნიშვნელობა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ/გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე შესაძლებელია დადგინდეს ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული Y-ის განსხვავებული მნიშვნელობები.

მომხსენებლის თქმით, პროექტი ითვალისწინებს მიწისპირა, მიწისზედა და მიწისქვეშა სართულების ტერმინთა განმარტებაში დამატებას, ვინაიდან მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ანგარიშისთვის აუცილებლია მათი განსაზღვრა, ხოლო, დღევანდელი მდგომარეობით მოქმედ „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში აღნიშნული სართულების განმარტება აღარ არის მოცემული.

დასასრულს, გიორგი ებანოიძემ აღნიშნა, რომ ცვლილებების პროექტით, ასევე ხდება, სრული, არასრული სართულების, ავტოსადგომების და სავალი ნაწილის შესაბამისობა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან.

აზრი გამოთქვა:

თავმჯდომარემ, მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილ დადგენილების პროექტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები. კერძოდ, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით სასურველია გაერთიანდეს პროექტის პირველი მუხლის მე-11, მე,13, მე-14 და მე-15 პუნქტები ერთ პუნქტად და შემდგომ ჩაიშალოს შესაბამის ქვეპუნქტებად.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, უნდა შეიცვალოს დადგენილების პროექტის პირველი მუხლის დანარჩენი პუნქტების ნუმერაცია.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა - მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, რიგი განკარგულებათა პროექტები, მათ შორის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამოწაცვლე შპს „სითი ბოქსი", ს/კ 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/კ 439402843) გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად ცვლილება ხორციელდება სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს" შორის 2017 წელს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში და ერთ-ერთი რეტერატის განთავსების ლოკაცია, კერძოდ 9 აპრილის ბაღის ტერიტორია, იცვლება რიყის ტერიტორიაზე მდებარე ლოკაციით. ამასთან, რიყის ტერიტორიაზე რეტერატის განთავსების და ექსპლუატაციაში მიღების თარიღად განისაზღვრება 2020 წლის 30 აპრილი.

ქალბატონმა მარიამმა რეტერატის განთავსების ადგილმდებარეობის ცვლილების მიზეზად 9 აპრილის ბაღის ტერიტორიაზე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასახელა.

დასასრულს, მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ასევე ხდება, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" გათავისუფლება.

აზრი გამოთქვა:

თავმჯდომარემ, მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის მე-3 მუხლის ტექნიკურად გასწორება და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. მარიამ კვერნაძემ, დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-7** საკითხთან მიმართებით განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხდება, სოფელ გლდანში არსებული **210 კვ.მ** მიწის ნაკვეთის ამხანაგობა **„წყაროსთვის“** პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად** 1(ერთი) ლარად, პრივატიზების ფორმით გადაცემა, შემდგომში სატუმბო სადგურის განთავსებისა და ექსპლუატაციაში მიღების პირობით.

საკითხის წარმომდგენის თქმით, **შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“** პოზიციის თანახმად, კომპანია არ არის წინააღმდეგი მითითებულ მისამართზე განხორციელდეს სატუმბო-სადგურის განთავსება კომპანიის მიერ მომზადებული პროექტის შესაბამისად. ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პოზიციის მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიაზე გენგეგმის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), სადაც დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა გარდა: განათების, **სარწყავი სისტემის,** სარეკლამო ბილბორდის, დეკორატიული გაფორმების ობიექტის, კიბეების, საფეხმავლო გზების, ან/და ბილიკების. შესაბამისად, სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია წყლის მოწოდებისთვის საჭირო საქაჩი ტუმბოს, როგორც დამხმარე ნაგებობის, განთავსება მითითებულ არეალზე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“** და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

თავმჯდომარემ, მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გასწორება და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, **„ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.041.01.501)**

მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი, მთაწმინდის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის შესაბამისად, ქ. თბილისში, სოფელ ოქროყანაში მდებარე 132.75 კვ.მ ფართის ბინა, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნინა ჯაფარიძეს.

მარიამ კვერნაძის თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის VI განყოფილების წერილის თანახმად, დასტურდება რომ მოქალაქე ნინა ჯაფარიძე ნამდვილად ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ ფართში. ამასთან, მოქალაქეებთან გასაუბრების ოქმებითა და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, რომ აღნიშნული მოქალაქე 1991-92 წლებიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობს მისამართზე: ოქროყანა, „ბ“-ზონა, კორპუსი 66, მე-2 სართული, ბინა N3-4.

დასასრულს, ქალბატონმა მარიამმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ნინა ჯაფარიძის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, სასურველია გასწორდეს და შეიცვალოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი და მეორე პუნქტები და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხის განხილვის გადადება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით. თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

კომისია ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით.

მოისმინეს:

10. მარიამ კვერნაძემ, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-10 საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქ. თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში მდებარე 48.38 კვ.მ უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად** საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე გიორგი კვანჭიანს,** რომელიც ოჯახთან ერთად აღნიშნულ ფართში ცხოვრობს **1998 წლიდან,** რაც დასტურდება ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების წერილითა და ასევე სამგორის რაიონის გამგეობის მე-III მასივის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტებით.

მარიამ კვერნაძემ იქვე დასძინა, რომ დაინტერესებული პირის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის მიხედვით, გიორგი კვანჭიანი ნამდვილად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

დასასრულს, **ქალბატონმა მარიამმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, **გიორგი კვანჭიანისა** და მისი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში **რეგისტრირებული** არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა ყურადღება გაამახვილა განკარგულების პროექტთან მიმართებაში არსებულ ტექნიკური ხასიათის ხარვეზებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია მათი გასწორება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. **მარიამ კვერნაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-11 საკითხი და წარმოადგინა განკარგულების პროექტი, რომლის შესაბამისად, ქ. თბილისში, ფაღავას ქუჩა № 18-ში მდებარე **47.07 კვ. მ.** ფართობის უძრავი ქონება, **პირდაპირი** განკარგვის ფორმით, **პრივატიზების** გზით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად** საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე თამარ ასპანაძეს,** რომელიც სამსულიან ოჯახთან ერთად **23 (ოცდასამი)** წლის განმავლობაში ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკითხის წარმომდგენმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებისა და პოლიციის წერილზე თანდართული, შესაბამის მოქალაქეებთან გასაუბრების ოქმების მიხედვით, თამარ ასპანაძე დაახლოებით 25 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მარიამ კვერნაძის თქმით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ანტიკვარის" კრების ოქმის მიხედვით, ამხანაგობა თანახმაა თამარ ასპანაძისთვის აღნიშნული ფართის გადაცემაზე.

დასასრულს, **ქალბატონმა მარიამმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, თამარ ასპანაძისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია ტექნიკური ხარვეზების გასწორება. მანვე აღნიშნა, რომ პროექტის პირველ მუხლში სწორი რედაქციით უნდა მიეთითოს ქ. თბილისის მთავრობის **№20.175.219** განკარგულების სათაური, ასევე უნდა აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად"** და პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-12 საკითხთა დაკავშირებით **მარიამ კვერნაძემ** განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიხედვით, სოფელი ოქროყანაში მდებარე **69.60 კვ.მ.** ფართობის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, **სიმბოლურ** ფასად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე ლევან თოფურიძეს.**

საკითხის წარმომდგენის თქმით, მოქალაქე ლევან თოფურიძე **1990 წლიდან** ცხოვრობს მისამართზე, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის II ჩიხი N1, პირველი სართული, ბინა N1. აღნიშნული დასტურდება, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მიერ, მთაწმინდის რაიონის გამგეობაში წარდგენილი მოქალაქეებთან გასაუბრების ოქმებით, ცხოვრების ფაქტის დამადასტურებელი ფოტომასალითა და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

ქალბატონმა მარიამმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ მოქალაქე ლევან თოფურიძის მიერ, დაინტერესებაში, არსებულ უძრავ ქონებაში 1990 წლიდან ცხოვრების ფაქტი, გარდა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციისა, დადასტურებულია, გამგეობის შესაბამისი საუბნო სამსახურების მიერ, გადამოწმების გზით.

დასასრულს, **ქალბატონმა მარიამმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, **ლევან თოფურიძის** სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, **ლევან ჟორჟოლიანმა** განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, პროექტის პირველ მუხლში სწორი რედაქციით მიეთითოს ქ. თბილისის მთავრობის **№20.176.218** განკარგულების სათაური, აღინიშნოს უძრავი ქონების **საპრივატიზებო საფასური 1 (ერთი) ლარის** ოდენობით, შესაბამისად, პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

თავმჯდომარემ, მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გასწორება და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. **მარიამ კვერნაძემ,** კომისიის წევრებს წარუდგინა, **„ქალაქ თბილისში, საინგილოს ჩიხი N5-ის კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.056.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, ქალაქი თბილისში, საინგილოს ჩიხი N5-ის კორპუსი N2 - ში, მდებარე 64.14 კვ.მ. ფართის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად** საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე ნანული ფარსმანაშვილს,** რომელიც 2003 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე და გახლავთ აფხაზეთის ომში დაღუპული ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის მფლობელის კახაბერ ფარსმანაშვილის დედა.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ, ისნის რაიონის გამგეობაში წარდგენილი წერილითა და მასზე თანდართული შესაბამის მოქალაქესთან გასაუბრების ოქმით, ასევე დაინტერესებული პირის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებითა და ცხოვრების ფაქტის ამსახველი ფოტომასალით **დასტურდება,** რომ მოქალაქე ნანული ფარსმანაშვილი ნამდვილად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

დასასრულს, **ქალბატონმა მარიამმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ნანული ფასრმანაშვილის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტთან მიმართებაში არსებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გასწორება და განმარტა, რომ პროექტის პირველ მუხლში უნდა აღინიშნოს უძრავი ქონების **საპრივატიზებო საფასური 1** (ერთი) **ლარის** ოდენობით, შესაბამისად, პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. მარიამ კვერნაძემ, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-14 საკითხთან დაკავშირებით, კომისიის წევრებს **განუმარტა,** რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესაბამისად, ქ. თბილისში, ანჩისხატის ეკლესიის მიმდებარედ არსებული **58 კვ.მ** მიწის ნაკვეთი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად** საკუთრებაში გადაეცემა, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას, მწვანე ზოლის და ბაღის განაშენიანების მიზნით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა** მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გასწორება და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ერთხმად იქნა მხარდაჭერილი კომისიის წევრების მიერ.

მოისმინეს:

15. მარიამ კვერნაძემ ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-15 საკითხზე და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესაბამისად, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში მდებარე უძრავი ქონება **სიმბოლურ ფასად - 1(ერთი) ლარად** გადაეცემა, მთავრობის

N20.224.256 განკარგულებით განსაზღვრულ - დევნილის სტატუსის არმქონე 11 (თერთმეტი) პირს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 2000-2003 წლებიდან, რაც დადასტურებულია ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების მიერ, ვაკის რაიონის გამგეობაში წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციითა და ასევე, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობა არ არის წინააღმდეგი, ქალაქ თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში მცხოვრები არადევნილი მოქალაქეებისათვის თვითნებურად დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით.

დასასრულს, ქალბატონმა მარიამმა აღნიშნა, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა ნაწილი, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ბაზაში. ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, პროექტის პირველ მუხლში სწორი რედაქციით მიეთითოს ქ. თბილისის მთავრობის N20.224.256 განკარგულების სათაური და ამავე პუნქტში განისაზღვროს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - 1 (ერთი) ლარის ოდენობით. შესაბამისად, პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

თავმჯდომარემ, მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გასწორება და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. მარიამ კვერნაძემ, კომისიის წევრებს განუმარტა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-16 საკითხთან მიმართებაში წარმოდგენილია განკარგულების პროექტი, რომლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის N402

განკარგულებაში ხორციელდება შესაბამისი საკადასტრო კოდის მითითების ნაწილში არსებული ხარვეზის გამოსწორება.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, წარმოდგენილმა ცვლილებამ დღის წესრიგში დააყენა შესაბამისი ცვლილებების განხორციელება რიგ სამართლებრივ აქტებშიც.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ასევე, სამართლებრივ საფუძვლებში მიზანშეწონილია მითითებულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 25 თებერვლის N20.208.254 განკარგულება.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი სამართლებრივი თვალსაზრისით უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

თავმჯდომარემ ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გასწორება და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. მარიამ კვერნაძემ, კომისიის წევრებს წარუდგინა, „ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში (ყოფილი თემქა) მე-11 მიკრო/რაიონის I კვარტალის N20ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.014.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " განკარგულების პროექტი, რომლის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში მდებარე უძრავი ქონება სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცემა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N20.231.250 განკარგულებით განსაზღვრულ 4 (ოთხი) პირს.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი, ნაძალადევის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონება გადაეცემა: ლუსია კაჭკაჭიშვილს - 47.56 კვ.მ; ზურაბი მანუკიანს - 40.75 კვ.მ; ფერდოს ონიკაშვილს - 55.32კვ.მ და ნათელა ჩიქოვანს - 29.53 კვ.მ, აღნიშნული პირები დაინტერესებულ ფართებში ცხოვრობენ 2006 წლიდან, რაც დასტურდება, ქ.თბილისის

პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს წერილითა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ბიჭვინთას“ კრების ოქმით.

დასასრულს, **ქალბატონმა მარიამმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირებზე და მათი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტთან მიმართებაში არსებულ ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გასწორება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. **მარიამ კვერნაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, **„ქალაქ თბილისში, ემირ ბურჯანაძის N49-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.021.028) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“** განკარგულების პროექტი, რომლის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ემირ ბურჯანაძის N49-ში მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემა მთავრობის **N20.233.247** განკარგულებით განსაზღვრულ პირებს.

საკითხის **წარმომდგენის** თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან წარდგენილი, სამგორის რაიონის გამგებლის შუამდგომლობის გათვალისწინებით, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონება გადაეცემა: **მაია ახსაბაძეს - 94.21 კვ.მ; ზვიად თაბუაშვილს - 94.4 კვ.მ; ნიკოლოზ ხელაშვილს - 96.33 კვ.მ და ნოდარ ბოჭორიშვილს - 96.30 კვ.მ.** აღნიშნული პირები დაინტერესებულ ფართებში ცხოვრობენ 2005-2008 წლიდან დღემდე, რაც დადასტურებულია ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის V განყოფილების წერილითა და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

დასასრულს, **ქალბატონმა მარიამმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირებზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტთან მიმართებაში არსებული ტექნიკური ხარვეზების გამოსწორება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. მარიამ **კვერნაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, **„ქალაქ თბილისში, შავთელის ქუჩა N26-ის მიმდებარედ 50 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.03.016.047) პირდაპირი განკარგვის წესით საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრისთვის (ს/ნ: 204390159) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, შავთელის ქუჩა № 26-ის მიმდებარედ 50 კვ. მ. მიწის ნაკვეთის, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, სსიპ თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრისთვის გადაცემას, გამწვანების და საყვავილეების განთავსების მიზნით, **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- ✓ **იჯარის მოქმედების ვადა - 10 (ათი) წელი;**
- ✓ **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარი.**

საკითხის წარმომდგენის თქმით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის თანახმად, განმცხადებლის საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი ინვენტარის განთავსება არ საჭიროებს შესაბამისი ნებართვისა გაცემას.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, **ლევან ჟორჟოლიანმა** განმარტა, რომ სასურველია განკარგულების **პროექტის** სათაური **გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-20 საკითხის განხილვის გადადება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით. თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

კომისია ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-20 საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით.

მოისმინეს:

21. დღის წესრიგით გათვალისწინებული 21-ე საკითხთან მიმართებაში, მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა № 30-ში მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ორი წლის ვადით გადაცემა ა(ა)იპ **„საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციას“**, საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის განთავსების მიზნით.

ქალბატონი მარიამის განმარტებით, ასოციაციის მიზანია, უზრუნველყოს დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების სრულყოფილი ჩართვა და მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისივე თქმით, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში ასოციაციის მიერ გამოყენებული იქნება დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა და მოზარდთა განმავითარებელი სხვადასხვა თერაპიებისა და პროგრამების განსახორციელებლად.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებს მიზანშეწონილია დაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122[1] **მუხლის მე-8 პუნქტი.** ამასთან, სამართლებრივ საფუძვლებს უნდა დაემატოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **№19-78** დადგენილებით დამტკიცებული წესის **მე-2 მუხლის მე-12 პუნქტი.**

თავმჯდომარის განმარტებით, მიზანშეწონილია, განკარგულების **პროექტს** პირველი პუნქტის შემდეგ, მეორე პუნქტად დაემატოს პუნქტი, რომელის მიხედვით, უსასყიდლო უზუფრუქტის ვადაა 2 (ორი) **წელი, ხოლო** მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს მესამე პუნქტად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის **წევრებმა** ერთხმად დაუჭირეს მხარი **წარმოდგენილ** განკარგულების **პროექტს** და მითითებული **შენიშვნების**

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს გააცნო, ამავე საკრებულოს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შესახებ" განკარგულების პროექტი, რომლის შესაბამისად ხორციელდება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დადგენილი - საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერა.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №6–25 დადგენილებაში, კერძოდ, დადგენილების მე-20 და 21-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური, ვინაიდან, 2020 წლის პირველი მარტიდან დაფუძნებული სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, თავად უზრუნველყოფს შესაბამისი თანხების ანაზღაურებას, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე თითოეულ მგზავრზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. **ვასილ აბულაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53–22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, მსგავსად №6–25 დადგენილებისა, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის ამოღება ხორციელდება,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის **№53–22** დადგენილებიდან, ვინაიდან, **სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო,** როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი, თავად უზრუნველყოფს შესაბამისი თანხების ანაზღაურებას შეღავათიანი მგზავრობის ფასით/დადგენილი ტარიფით მოსარგებლე მგზავრებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **ნინო ჯალაღანია**